

შეზღუდული პასოხისმგებლობის
საზოგადოება

შპს „მედიკალ ტექნოლოგი“ ს/კ. 404384590

ფინანსური ანგარიშგება

პერიოდი: 2024-წელი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- გვერდი 2 -3.

შემოსავლის ანგარიშგება და ფულადი სახსრების მოძრაობა----- გვ. 3-4.

ფინანსური ანგარიშგების განმარტება- შენიშვნები----- გვ. 4-6.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებ (ლარებში)

პერიოდი:	31.12.2024-წ.	31.12.2023-წ.
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
შირითადი საშუალებები	1114602	969452
სულ გრძელვადიანი აქტივები	1114602	969452
მიმდინარე აქტინები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	681668	595875
ფულადი სახსრები	373934	334005
სხვა პირზე სესხად გაცემული	386684	332143
სულ მიმდინარე აქტივები	1442286	1262023
სულ აქტივები	2556888	2231475
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	400	400
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	666683	290320
გადაფასების რეზერვი	683200	468300
საკუთარი კაპიტალი და სხვა კომპონენტები	660480	460480
სულ საკუთარი კაპიტალი	1810763	1219500

ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	80425	0
სასესხო ვალდებულებები	665700	900000
სულ ვალდებულება	746125	900000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2556888	2231475

შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდი	31.12.2024-წ.	31.12.2023-წ.
ამონაგები	2776318	2656222
რეალიზირებული მომსახურების თვითღირებულება	2776318	2502815
მ/შორის:		
დასაქმებულთა გასამრჯელოები	858243	841670
იჯარა (ოფისი)	12000	12000
საპროცენტო ხარჯი	179463	180060
სხვა საოპერაციო ხარჯი	856349	1469085
მოგება დაბეგვრამდე	8702263	153407
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო წლის დასაწყისში	1219500	1235060
გაცემული დივიდენდი საანგარიშო პერიოდში	279000	168967
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1810763	1219500

ფულადი სახსრების მოძრაობა

პერიოდი	31.12.2024-წ.	31.12.2024-წ.
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადი	2776318	2656222
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადი	-2736389	-2668447
შემოსავალ-გასავალს შორის სხვაობა	39929	-12225
ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	334005	346230
ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	3739434	334005

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1-ზოგადი ინფორმაცია

შპს „მედიკალ ტექნოლოგი“(ს/კ.404384590) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიერ (რეგისტრ.# B21060644, 17/06/2021). საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ.#4, ფაქტიური კი ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #234, კლინიკა „ვიკამედი“-ს შენობის ოთახი#804, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ადგილია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის მიმდებარე ტერიტორია.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა დაბინძურებისგან დასუფთავება და ნარჩენების მართვის სხვა მომსახურება.

საწარმო ფულად სახსრებს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას. შესაბამისად საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024-წლის პირველი იანვრით დაწყებული და ამავე წლის 31-დეკემბრით დასრულებული პერიოდის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

2-ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით - წინა შესადარისი პერიოდის ინფორმაციის გათვალისწინებით.

3-სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1-ამონაგების აღიარების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით და არ მოიცავს გაცემულ ყუველწიურ სავაჭრო ფასდათმობას, ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიური სარგებლის მთლიანი თანხა.

3.2-მომსახურებისთვის მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება მომსახურება.

3.3-სავაჭრო მოთხოვნები: მომხმარებელზე მოკლევადიან საკრედიტო პირობებით მომსახურების მიწოდებიდან მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების ღირებულებით.

3.4-სასესხო ვალდებულებები საბანკო ოპერაციებით არ გვქონია, გაგვაჩნია მხოლოდ დამფუძნებლებიდან დროებით საჭიროებისთვის მიღებული სესხი 665700-ლარი, აღნიშნულთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარებულია მოგება-ზარალში.

3.5-სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლებისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურება) შენაძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისათვის გადასახდელი დავალიანების არა დისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებებით, აღიარდება მოგება-ზარალში.

3.6- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთა-გაუფასურების ზარალის გამოკლებით მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსავალ-ზარალი აღიარდება პერიოდის მოგებაში. საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის ძირითადი საშუალებების ნაშთი შეადგენს 1114602-ლარს, საიდანაც მიწის ნაკვეთს ღირებული 431402-ლარს ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენი 683200-ლარის ფასეულობა გატარებულია ხარჯებში ექსპლოატაციაში შესვლისას და შექმნილია გადაფასების რეზერვი.

3.7- დაქირავებულ პირთა გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომელის მიღების უფლებაც დაქირავებულებმა მოიპოვეს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი.

3.8- ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორებისას ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, ბომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველ აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგება-ზარალში იმ საანგარიშო პერიოდში როდესაც წრმოიშობა.

3.9-მოგების გადასახადი

მიმდინარე სგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის ანაზღაურება მოსალოდნელია საანგარიშო თარიღისათვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახდო განაკვეთის დაბეგვრის პრინციპის გათვალისწინებით სსკ-ს

მიხედვით . მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს. პარტნიორებზე გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების ვალდებულებას.

სააღრიცხვო პოლიტიკა ,რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ანგარიშგება, გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტი. ხოლო წინა პერიოდებში , როგორც მეოთხე კატეგორიის საწარმოს არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად მსს ფასს სტანდარტზე გასვლამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირების აუცილებლობა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიში დამტკიცებულია.

დირექტორი-

15.09.2025-წ.



ზ.ბერაძე.